ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები

1. **სამედიცინო მომსახურების დაფინანსება**

პროგრამის მართვა :
პროგრამის ფარგლებში საოპერაციო, სამკურნალო და გამოკვლევების ხარჯების თანადაფინანსებით ისარგებლებენ ბაღდათის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და ამავდროულად ფაქტობრივად მცხოვრები მოქალაქეები, რომელთაც
ა) სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული აქვთ უმწეობის სტატუსის განმსაზღვრელი 65 000-მდე სარეიტინგო ქულა ან წარმოადგენენ (საცხოვრებელი ადგილის შესაბამისად) მერის წარმომადგენლის მიერ გაცემულ შუამდგომლობას, რომელშიც დადასტურებული იქნება მოქალაქის დახმარების საჭიროება.
ბ) რომელთაც შუამდგომლობას უწევს ბავშვისა და ოჯახის ან თემის სოციალური მუშაკი (შეფასების დასკვნის საფუძველზე).
გ) ონკოლოგიური დიაგნოზის მქონე პაციენტები მიუხედავად მათი სოციალური სტატუსისა.

პროგრამით გათვალისწინებული დახმარება მოქალაქეს გაეწევა ერთჯერადად, საბიუჯეტო წლის განმავლობაში. გამონაკლისს წარმოადგენს: ონკოლოგიური პაციენტები და 18 წლამდე ასაკის ის პირები, რომელთაც შუამდგომლობას უწევს ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკი. აღნიშნულ შემთხვევაში დასაფინანსებელი სამედიცინო მომსახურების წლიური ლიმიტი არ უნდა აღემატებოდეს 1300 ლარს.

საჭირო დოკუმენტაცია:
დახმარების მიღების მიზნით მოქალაქემ განცხადებით უნდა მიმართოს ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიას და წარადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:
ა) დახმარების მიმღების პირადობის მოწმობა;
ბ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა № 100);
გ) სამედიცინო მომსახურების ხარჯთაღრიცხვა ან/და ანგარიშ-ფაქტურა სამედიცინო დაწესებულებიდან;
დ) საყოველთაო ჯანდაცვის მიერ გაცემული საგარანტიო ფურცელი (მისი არსებობის შემთხვევაში);
ე) საჭიროების შემთხვევაში, მერიის სოციალური სამსახურის მიერ მოთხოვნილი სხვა დოკუმენტი, რომელიც დაკავშირებული იქნება განსახილველ საკითხთან.

ანაზღაურებას არ ექვემდებარება:
ა) პლასტიკური და ესთეტიკური სახის მკურნალობა.
ბ) მეტყველების თერაპიის სეანსები (გარდა შშმ პირის სტატუსის და 120001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე მოქალაქეებისათვის).
გ) სანატორულ-კურორტული მკურნალობა და მასაჟი, (გამონაკლისს წარმოადგენენ 0-18 წლამდე ასაკის შშმ პირები და მკვეთრად გამოხატული შეზღუდვის მქონე პირები).
დ) მშობიარობის ხარჯები, გამოწვეული ექიმის და სამშობიარო სახლის შერჩევის გამო.

დაფინანსების განსაზღვრის წესი:
ა) თუ პაციენტის მიერ სამედიცინო მომსახურებისათვის გადასახდელი თანხა წარმოდგენილია 501 ლარამდე, სოციალური პროგრამის ბიუჯეტიდან დაფინანსდება წარმოდგენილი თანხის ნახევარი.
ბ) თუ პაციენტის მიერ სამედიცინო მომსახურებისათვის გადასახდელი თანხა წარმოდგენილია 501-დან 1001 - ლარამდე, სოციალური პროგრამის ბიუჯეტიდან დაფინანსდება 250 ლარს დამატებული 500 ლარის ზემოთ გადასახდელი თანხის 30 %.
გ) თუ პაციენტის მიერ სამედიცინო მომსახურებისათვის გადასახდელი თანხა წარმოდგენილია 1001-დან 2000 - ლარის ჩათვლით, სოციალური პროგრამის ბიუჯეტიდან დაფინანსდება 500 ლარი.
დ) თუ პაციენტის მიერ გადასახდელი თანხა აღემატება 2000 ლარს, სოციალური ბიუჯეტიდან დაფინანსდება 500 ლარს დამატებული, 2000 ლარს ზემოთ გადასახდელი თანხის 20%, მაგრამ არაუმეტეს 1300 ლარისა.

აღნიშნული წესი არ ვრცელდება ონკოლოგიურ პაციენტებზე და 18 წლამდე ასაკის იმ პირზე, რომელსაც შუამდგომლობას უწევს ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკი. მსგავს შემთხვევებში სამედიცინო მომსახურება დაფინანსდება სრულად, მაგრამ არაუმეტეს 1300 ლარისა;
სამედიცინო მომსახურების მიზნით სოციალური ბიუჯეტიდან გასაცემი თანხის დამრგვალება მოხდება მთელი რიცხვის ერთეულამდე.

2. **სასკოლო ასაკის ბაღის აღსაზრელთა პროფილაქტიკური კვლევები.**

პროგრამის მართვა:

პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების სასკოლო ასაკის აღსაზრდელებს. პროგრამით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების შესყიდვა განხორციელდება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის შესაბამისად.

პროგრამის მიზანია:

ბაღდათის მუნიციპალიტეტის სასკოლო ასაკის აღსაზრდელებში თვალის პათოლოგიისა და სქოლიოზის დროული გამოვლენა და მათთან დაკავშირებული სხვა დაავადებების აღმოცენების პრევენცია.

3. **მედიკამენტების დაფინანსება**

პროგრამის მართვა:

სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსებით ისარგებლებენ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და ამავდროულად ფაქტობრივად მცხოვრები ეკონომიურად შეჭირვებული შემდეგი დაავადების მქონე მოქალაქეები:

ა) ონკოლოგიური და ონკო-ჰემატოლოგიური;

ბ) თირკმლის უკმარისობა
გ) ინსულტის შემდგომი პერიოდი;
დ) შაქრიანი დიაბეტი.
ე) პარკინსონის დაავადება;
ვ) ეპილეფსია;
ზ) ბრონქული ასთმა, ქრონიკული ობსტრუქციული ბრონქიტი;
თ) მიასთენია;
ი) ფენილკეტონურია და ცელიაკია (სამკურნალო კვების თანხა);
კ) ცერებრალური დამბლა;
ლ) ფსორიაზი;
მ) გულსისხლძარღვთა დაავადებები;
ნ) პნევმონია;
ო) წითელი მგლურა
პ) გლაუკომა; კატარაქტა; კერატიტი; კერატოკონუსი;
ჟ) ტრავმის შედეგად მიყენებული ზიანის შემდგომი მკურნალობა,
რ) ოჯახური ხმელთაშუა ზღვის ცხელება
ს) წითელი ქარი
ტ) სეფსისი, პერიტონიტი
უ) ანემია
ფ) ფარისებრი ჯირკვლის დაავადება
ქ) გაფანტული სკლეროზი;
ღ) კოვიდის შემდგომი გართულება.
ყ) ღვიძლის დაავადება (ციროზი);
შ) პრადერ-ვილის სინდრომი;
ჩ) სოციალურად დაუცველი 18 წლამდე ასაკის ბავშვები მედიკამენტების დაფინანსებით ისარგებლებენ მიუხედავად მათი დიაგნოზისა.

ფენილკეტონურიითა და ცელიაკიით დაავადებული პაციენტებისთვის სამკურნალო კვების უზრუნველსაყოფად დახმარება გაიცემა ერთჯერადად საბიუჯეტო წლის განმავლობაში 1500 ლარის ოდენობით. პრადერ-ვილის სინდრომით დაავადებული პაციენტები და სოციალური მუშაკის შუამდგომლობის მქონე 18 წლამდე ასაკის მოზარდები დაფინანსდებიან სრულად, მაგრამ არაუმეტეს 500 ლარისა წლის განმავლობაში. ონკოლოგიური პაციენტები მედიკამენტების დაფინანსებით ისარგებლებენ წელიწადში ორჯერ, არანაკლებ ერთთვიანი ინტერვალისა, თითოეული მომართვისას 150 ლარის ოდენობით, ხოლო სხვა ზემოთჩამოთვლილი დაავადების მქონე პაციენტები დაფინანსდებიან 100 ლარით, წელიწადში ერთჯერადად.

საჭირო დოკუმენტაცია:

ა) განცხადება მერის სახელზე;

ბ) დახმარების მიმღების პირადობის მოწმობა;

გ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა № 100ა);

დ) ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან 0-დან 100000-მდე ქულით ან/და საცხოვრებელი ადგილიდან მერის წარმომადგენლის შუამდგომლობა;

ე) ონკოლოგიური სენით, ფენილკეტონურიითა და ცელიაკიით დაავადებული პაციენტები თავისუფლდებიან ამ მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენის ვალდებულებისაგან.

ანაზღაურება მოხდება ფარმაცევტული დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშფაქტურის საფუძველზე, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

4. აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვთა დიაგნოსტირება და აბილიტაცია.

პროგრამის მართვა:

პროგრამის სამიზნე ჯგუფია ბაღდათის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და ამავდროულად მცხოვრები 2-15 წლამდე ასაკის ბავშვები, რომელთაც:
ა) პირველადი ჯანდაცვის სპეციალისტის მიერ განესაზღვრათ აუტიზმის დიაგნოსტირების საჭიროება;
ბ) განესაზღვრათ განვითარებისა და ადაპტური ფუნქციონირების შეფასების საჭიროება;
გ) დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) მიხედვით, განვითარების ზოგადი აშლილობების (F84.0- F84.9) ჯგუფი განესაზღვრათ ძირითადად დიაგნოზად/დაუდგინდათ აუტიზმის სპექტრი.
პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარისათვის მომსახურების დაფინანსება განისაზღვრება:
ა) დიაგნოსტირების საჭიროების მქონე ბავშვისთვის ერთჯერადად, არაუმეტეს 250 ლარის ოდენობით.
ბ) ადპტური ფუნქციონირების შეფასების საჭიროების მქონე მოზარდებისათვის არაუმეტეს 150 ლარის ოდენობით, 6 თვეში ერთხელ;
გ) აუტიზმის სპექტრის მქონე მოზარდების ქცევითი თერაპიის უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით, არაუმეტეს 1000 ლარის ოდენობით, წელიწადში ერთჯერადად.

საჭირო დოკუმენტაცია:

ა) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადება მერის სახელზე;
ბ) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
გ) ბავშვის დაბადების მოწმობის (ან პასპორტის, ან პირადობის მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტის) ასლი.

დ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №IV-100/ა), რომელიც გაცემულია განაცხადის წარდგენამდე არაუმეტეს 2 თვით ადრე და მასში მითითებულია ბავშვის ძირითადი დიაგნოზი და/ან დიაგნოსტიკისთვის აუცილებელი ტესტირების შედეგი.
ე) მომსახურების მომწოდებელი ორგანიზაციის მიერ გაცემული ხარჯთაღრიცხვა ან/და ანგარიშ-ფაქტურა;

5. **დიალიზით მოსარგებლე მოქალაქეთა დახმარება**

პროგრამის აღწერა :

პროგრამის ფარგლებში დიალიზის საჭიროების მქონე პირებს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, ყოველთვიურად, ტრანსპორტირების ხარჯების უზრუნველსაყოფად მიეცემათ ფინანსური დახმარება - 250 ლარის ოდენობით.

საჭირო დოკუმენტაცია:
ა) განცხადება მერის სახელზე;
ბ) დახმარების მიმღების პირადობის მოწმობა;
გ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა № 100);
დ) დახმარების მიმღების პირადი ანგარიში ბანკიდან;

6. **ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები**

პროგრამის მოკლე აღწერა :

საზოგადოებრივი ჯანდაცვია არის დაავადებათა პროფილაქტიკის უზრუნველყოფის, მათი თავიდან ასცილების, ჯანმრთელობის ხელშეწყობის და გახანგრძლივების სახელმწიფო ვალდებულებათა სისტემა, რომელიც მიმართულია ყოველი ადამიანის, ადამიანთა ცალკეული ჯგუფების, მთლიანად საზოგადოების ჯანაღი , სულიერი და ფიზიკური ჯანმრთელობის აღდგენისადმი, აგრეთვე მათი ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს ხელშეწყობისა და ჯანსაღი ცხოვრების პირობების დამკვიდრებისაკენ. ამ მიზნის მისაღწევად საზოგადოებრივი ჯანდაცვა ანხორციელებს შემდეგ პროგრამებს:

გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტრილი.

იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, განხორციელების ხელშეწყობა, საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფ
„ცივი ჯაჭვის“ ლოჯისტიკა.

პარაზიტული დაავადებების პირველადი ეპიდკვლევა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მალარიის გადამტანის ფაუნის გავრცელების შესწავლა.

სანიტარული ღონისძიებები.

გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლი

აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს სამედიცინო დაწესებულებებიდან, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამხარე
ცენტრიდან და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრიდან შემოსული შეყტობინებების საფუძველზე (ფ 58)
პირველადი ეპიდკვლევების ჩატარებას, პრევენციული და ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვას და გატა

ეპიდსაშიშროებისას, დაავადებათა კონტროლის პირველად ღონისძიებებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის
სოციალური დაცვის მინისტრის 55/ო ბრძანების შესაბამისად და საჭიროების შემთხვევაში ლაბორატორიულ სინჯ
აღებას დიაგნოზის დასადასტურებლად. აივ/ინფექცია შიდსის, ,,ც" ჰეპატიტის და ტუბერკულოზის ინტეგრირებულ
სკრინინგის ორგანიზებას,ხელსეწყობას და ანგარიშგებას დადგენილი წესით.

„ტუბერკულოზის მართვის" სახელმწიფო პროგრამის ეპიდზედამხედველობის კომპონენტის განხორციელება, ასევე „ტუბერკულოზის კონტროლის" კანონით სჯდ ცენტრებისათვის განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება.. ინფექციურ დაავადებათა ელექტრონულ ინტეგრირებულ სისტემაში (დზეი) მონაცემთა შეყვანა.

ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით განსაზღვრული სერვისების განხორციელება და ხელშეწყობა.

სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლისათვის ნოზოკომიური ინფექციების პრევენციის და კონტროლისათვის რეკომენდაციების მიწოდებას.

იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, განხორციელების ხელშეწყობა, საინფორმაციო სისტემის უზრნველყოფა „ცივი ჯაჭვის" ლოჯისტიკა.
აღნიშნულ პროგრამაში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე სოფლის ექიმების და „ჯეოჰოსპიტალს"-ის მიერ წარმოდგენილი მოსახლეობის (0-15წ) რაოდენობის მიხედვით პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით იმუნიზაციის დაგეგმვა, მასზე ანგარიშგება დადგენილი წესით (საქართველოს შრომის, ჯანმრტელობის და სოციალური დაცვის მინისტრის №01/60 ნ ბძანების შესაბამისად), მუნიციპალიტეტის დაწესებულებებიდან შემოსული თვის ანგარიშების რუტინული დამუშავება შესაბამის კომპიუტერულ პროგრამაში (ჯეოვაკი და ელექტრონული მოდული) მონაცემთა რუტინული ანალიზი, შეფასება-დაზუსტება, ,იმნოპროფილაქტიკისათვის განკუთვნილი მასალის მიღება,შენახვა და სამედიცინო მომსახურეობის მიმწოდებელისთვის განაწილება. ვაქცინაციის პროცესზე ზედამხედველობა და პროცესის მართვა. ვაქცინების და სხვა ასაცრელი მასალის და „ცივი ჯაჭვის" ინვენტარის საჭიროების განსაზღვრა მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე. ანგარიშგება დადგენილი წესის მიხედვით-ელექტრონული მოდულის გამოყენებით.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პატაზიტული დაავადებების პირველადი ეპიდკვლევა და მალარიის გადამტანი ფაუნის გავრცელების შესწავლა

აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს მალარიის, სხვა პარაზიტული დაავადებების კვლევას ეპიდჩვენებით და ჰელმინთური (ჭიებზე) დაავადებების სკრინინგულ კვლევას მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე, დიაგნოსტიკას, რეკომენდაციების და სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში უფასო მედიკამენტის მიწოდებას. წყალსატევების პასპორტიზაციას (რაოდენობა და ფართობის დადგენა), წყალსატევების გამოკვლევას და მალარიის გადამტანის წყლის ფაზების აღმოჩენის შემთხვევაში მათ საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარების ორგანიზებას. ანოფილოგენურ წყალსატევებში გამბუზიის გავრცელების ხელშეწყობას.

სანიტარული ღონისძიებების პროგრამა.

ითვალისწინებს საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობას და პრევენციული ღონისძიების განხორციელების ხელშეწყობას.მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში (ჰიგიენურ სალონებში) ,,ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების წარმოებისას ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარული ნორმების დამტკიცებიშესახებ'' ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების კონტროლს.

სოციალური დაცვის პროგრამები

1. უფასო სასადილოს დაფინანსება

პროგრამის აღწერა:
პროგრამის ფარგლებში, ბაღდათის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შეჭირვებული მოქალაქეები ყოველდღიურად ისარგებლებენ ერთჯერადი უფასო (ოთხკომპონენტიანი) კვებით.

ბენეფიციარის შერჩევის წესი:
ბენეფიციარად შეირჩევა პირი, თუ ის აღრიცხულია სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვს 0-დან 65001-მდე ქულა.
მერის წარმომადგენლის შუამდგომლობის საფუძველზე, კომისია უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება პირის ბენეფიციარად შერჩევის შესახებ, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა მას ბენეფიციარად რეგისტრაციისათვის პროგრამით განსაზღვრული სარეიტინგო ქულა.

საჭირო დოკუმენტაცია:
ა) განცხადება მერის სახელზე
ბ) დახმარების მიმღების პირადობის მოწმობა
გ) ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან და/ან მერის წარმომადგენლის შუამდგომლობა.

2. ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა.

პროგრამის მართვა:

. პროგრამით ისარგებლებენ ბაღდათის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ახალშობილთა ოჯახები, რომელთაც შვილი შეეძინათ 2023-2024 წლებში და არ უსარგებლიათ აღნიშნული დახმარებით.
ა) მე-2 შვილის შეძენისას 200 ლარი,
ბ) მე-3 შვილის შეძენისას 300 ლარი,
გ) მე-4 და შემდეგი შვილის შეძენისას 500 ლარი,
დ) ტყუპების შეძენისას 800 ლარი.

პროგრამის მიზანი: ბავშვის კეთილდღეობის მხარდაჭერა, ბავშვის უფლებების, თავისუფლების რეალიზება და სოციალური პირობების გაუმჯობესება.

საჭირო დოკუმენტაცია:
ა) განცხადება მერის სახელზე;
ბ) მშობლის (მშობლების) ან კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი.
გ) შვილების დაბადების მოწმობები;
დ) დახმარების მიმღების პირადი ანგარიში ბანკიდან;
ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ბანკში გახსნილ პირად ანგარიშზე.

3. შშმ პირთა დახმარება.

არასრულწლოვანი შშმ პირების ერთჯერადი ფინანსური დახმარება.

ა) ქვეპროგრამით ისარგებლებენ ბაღდათის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და ამავდროულად მცხოვრები 18 წლამდე ასაკის შშმ ბავშვების ოჯახები, თითოეულ ბავშვზე ერთჯერადად 150 ლარის ოდენობით.

ბ) დახმარების მისაღებად შშმ პირის მშობელმა (ან კანონიერმა წარმომადგენელმა) უნდა წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

ბ.ა) დახმარების მიმღების პირადობის მოწმობა;

ბ.ბ) შშმ პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ.გ) შშმ პირის დაბადების (ან პირადობის) მოწმობა;

ბ.დ) დახმარების მიმღების პირადი ანგარიში ბანკიდან;

ბ.ე) მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ მოთხოვნილი სხვა დოკუმენტი.

გ) ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ბანკში გახსნილ პირად ანგარიშზე.

შშმ პირთა ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფა.

ა) ქვეპროგრამით ისარგებლებენ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და ამავდროულად მცხოვრები შშმ პირები, რომლებსაც აქვთ პამპერსის (და/ან სხვა ჰიგიენური საშუალების) გამოყენების საჭიროება.

ბ) ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ პირები საბიუჯეტო წლის განმავლობაში დაფინანსდებიან 200 ლარის ღირებულების ჰიგიენური საშუალებებით (პამპერსი, სველი ხელსახოცი, პამპერსის ზეწარი, პუდრი, კათეტერი და სხვა). დახმარება გაიცემა ორ ეტაპად, არანაკლებ ერთთვიანი ინტერვალისა, თითოეული მომართვისას 100 ლარის ოდენობით.

გ) ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფის მიზნით განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

გ.ა) განცხადება მერის სახელზე;

გ.ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ.გ) დახმარების მიმღები შშმ პირის პირადობის (ან დაბადების მოწმობის) ასლი;

გ.დ) შშმ პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ.ე) სამედიცინო დოკუმენტი (ფორმა N100ა), სადაც რეკომენდაციის ნაწილში მითითებული უნდა იყოს პამპერსის ან/და სხვა ჰიგიენური საშუალების გამოყენების საჭიროება.დ) ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მომსახურების მომწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

შშმ პირთა სოციალური და ჯანმრთელობის პრობლემების მოგვარების ღონისძიების დაფინანსება.

მათ შორის: შშმ პირებისათვის საჭირო სპეციალური მოწყობილობების შეძენა, საზღვარგარეთ მკურნალობის თანადაფინანსება.

საჭირო დოკუმენტაცია:

ა.ა) განცხადება (მუნიციპალიტეტის მერის სახელზე);

ა.ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობა

ა.გ) შშმ პირის პირადობის (ან დაბადების) მოწმობის ასლი;

ა.დ) შშმ პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ა.ე) დოკუმენტაცია საჭირო სამედიცინო მომსახურების შესახებ (სამედიცინო ფორმა და ანგარიშფაქტურა).

ა.ვ) მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ მოთხოვნილი სხვა დოკუმენტი.
ბ) ქვეპროპგრამით დაფინანსდება ბენეფიციარის მიერ გადასახდელი თანხის არაუმეტეს 60%. ბენეფიციარის დახმარების მიზნით გაცემული წლიური ლიმიტი არ უნდა აღემატებოდეს 4000 ლარს. აღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება 200 ლარამდე ღირებულების მქონე დამხმარე მოწყობილობის შეძენისათვის მოთხოვნილ თანხას, რომელიც დაფინანსდება სრულად.
გ) გადაწყვეტილებას შშმ პირთა სოციალური და ჯანმრთელობის ღონისძიების დაფინანსების თაობაზე, იღებს ,,მერიის სოციალური ღონისძიებების დაფინანსების განმსაზღვრელი კომისია".
დ) ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, შესაბამის საბანკო ანგარიშზე.

შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით სხვადასხვა აქტივობების განხორციელება.
მათ შორის:
ა) შშმ პირთა და მათი ოჯახების ცნობიერების ამაღლების მიზნით აქტივობების განხორციელება.
ბ) შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით კულტურულ-საგანმანათლებო და გასართობ პროგრამებში ჩართვის ხელშეწყობა და შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების მხარდაჭერა.
გ) შშმ პირთა სხვადასხვა აქტივობებში ჩართვის მიზნით, მათი ტრანსპორტით უზრუნველყოფა.
დ) მკვეთრად გამოხატული შეზღუდვის მქონე და სოციალურად დაუცველი (120 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე) შშმ პირებისათვის ზამთრის სეზონზე სათბობი საშუალებებით უზრუნველყოფის დაფინანსება (დეკემბრის თვის მეორე დეკადაში შშმ პირთა მუხლში არსებული ფინანსური რესურსის შესაბამისად).
ე) ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, შესაბამის საბანკო ანგარიშზე.

შშმ პირთა კურორტული სამკურნალო-სარეაბილიტაციო მომსახურებების დაფინანსება;
ა) ქვეპროგრამით ისარგებლებენ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და ამავდროულად მცხოვრები 18 წლამდე ასაკის შშმ ბავშვები და მკვეთრად გამოხატული სტატუსის მქონე შშმ პირები, რომელთაც დოკუმენტაციით უდასტურდებათ კურორტული სამკურნალო-სარეაბილიტაციო მომსახურეობის მიღების საჭიროება.
ბ) ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარი დაფინანსდება არაუმეტეს 400 ლარით, ერთჯერადად საბიუჯეტო წლის განმავლობაში.
გ) ქვეპროგრამით სარგებლობის მიზნით ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:
გ.ა) განცხადება მერის სახელზე;
გ.ბ) ბენეფიციარის/განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი.
გ.გ) შშმ პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი;
გ.დ) სამედიცინო ფორმა N100-ა (სადაც მითითებული იქნება ბენეფიციარისთვის კურორტული სამკურნალო-სარეაბილიტაციო მომსახურეობის მიღების საჭიროება).
გ.ე) მომსახურების გამწევი დაწესებულების მიერ გაცემული ინვოისი.
გ. ვ) ანაზღაურება მოხდება მომსახურეობის გამწევი დაწესებულების მიერ გაცემული ანგარიშფაქტურის საფუძველზე, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

4. 18 წლამდე ასაკის ობოლ ბავშვთა ოჯახებისა და მარტოხელა მშობლების დახმარება.

პროგრამის მართვა:

პროგრამით ისარგებლებენ ბაღდათის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 0-დან 18 წლამდე ასაკის ობოლი ბავშვების (და რომელთაც 2024 წელს უსრულდებათ 18 წელი) ოჯახები და მარტოხელა მშობლები.
დახმარება გაიცემა წელიწადში ერთჯერადად, თითოეულ ბავშვზე – 250 ლარის ოდენობით.

საჭირო დოკუმენტაცია:

ა) დახმარების მიმღების (მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის) პირადობის მოწმობა;
ბ) ბავშვის (ბავშვების) დაბადების მოწმობები;
გ) მშობლის (მშობლების) გარდაცვალების მოწმობა ან მარტოხელა მშობლის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი.
დ) დახმარების მიმღების პირადი ანგარიში ბანკიდან.

5. მრავალშვილიანი ოჯახების ფინანსური დახმარება.

პროგრამის მართვა:
პროგრამით ისარგებლებენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რაგისტრირებული და ამავდროულად მცხოვრები მრავალშვილიანი (4 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვიანი) ოჯახები, ერთჯერადი ფინანსური დახმარების სახით, თითოეულ ბავშვზე 50 ლარის ოდენობით.

საჭირო დოკუმენტაცია:
ა) დახმარების მიმღების პირადობის მოწმობა;
ბ) ბავშვების დაბადების მოწმობები;
გ) მშობლების (ან კანონიერი წარმომადგენლის) პირადობის მოწმობს ასლი.
დ) დახმარების მიმღების პირადი ანგარიში ბანკიდან;

5.

6. ბავშვიანი ოჯახების გაძლიერება.

პროგრამის მართვა:

ქვეპროგრამით სარგებლობა შეუძლიათ: ბაღდათის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვიან ოჯახებს, რომლებიც იმყოფებიან კრიზისულ ვითარებაში და/ან საჭიროებენ დახმარებას.
პროგრამაში ოჯახის ჩართვა შეიძლება განხორციელდეს მოქალაქის, მერის წარმომადგენლის, სოციალური მუშაკის ან სხვა უწყების მომართვის საფუძველზე.
ბავშვიანი ოჯახის შეფასებას და საჭიროებების დადგენას უზრუნველყოფს ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკი.

სოციალური მუშაკის შეფასება და დასკვნა/რეკომენდაცია განიხილება ,,მერიის სოციალური ღონისძიებების დაფინანსების განმსაზღვრელი კომისიის“ მიერ და მიიღება გადაწყვეტილება ბავშვიანი ოჯახისათვის საჭირო დახმარების აღმოჩენის თაობაზე.

აღნიშნული ქვეპროგრამიდან თითოეულ ოჯახზე გასაცემი თანხის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 2500 ლარს. გასაცემი თანხის ზუსტ ოდენობას განსაზღვრავს ,,სოციალური ღონისძიებების დაფინანსების განმსაზღვრელი კომისია".

პროგრამის მიზანი:

ქვეპროგრამის მიზანია, კრიზისულ ვითარებაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების საჭიროებების იდენტიფიცირება, მათი ეკონომიკური გაძლიერება და სოციალური აქტივაციის მდგრადი განვითარება.

7. ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში, ბაღდათის მუნიციპალიტეტში რეგისრტირებული ომის ვეტერანის გარდაცვალების შემთხვევაში, სარიტუალო ხარჯების თანადაფინანსების მიზნით ოჯახს გაეწევა ფინანსური დახმარება 250 ლარის ოდენობით.

საჭირო დოკუმენტაცია:

ა) განცხადება მერის სახელზე;
ბ) დახმარების მიმღების პირადობის მოწმობა;
გ) განმცხადებლისა და გარდაცვლილი ვეტერანის ნათესაური კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტი.
დ) ვეტერანის მოწმობა;
ე) გარდაცვალების მოწმობა;
ვ) დახმარების მიმღების პირადი ანგარიში ბანკიდან;
ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ბანკში გახსნილ პირად ანგარიშზე.

8. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ მებრძოლთა ოჯახების (მშობელი, მეუღლე ან შვილი) ერთჯერადი დახმარება.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში, ბაღდათის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს ტერტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ მებრძოლთა ოჯახის წევრები (მშობელი, მეუღლე ან შვილი), წელიწადში ერთჯერადად მიიღებენ ფულად დახმარებას 300 ლარის ოდენობით (8 აგვისტოს ან 27 სექტემბრის თარიღებთან დაკავშირებით).

საჭირო დოკუმენტაცია:

ა) განცხადება მერის სახელზე;
ბ) დახმარების მიმღების პირადობის მოწმობა;
გ) ომში დაღუპულის ოჯახის წევრის დამადასტურებელი დოკუმენტი;
დ) დახმარების მიმღების პირადი ანგარიში ბანკიდან;

9. ვეტერანთა დახმარება

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში ერთჯერადი ფინანსური დახმარება მიეცემათ ბაღდათის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ:

ა) მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს – თითოეული 300 ლარის ოდენობით და მარჩენალდაკარგულები თითოეული – 200 ლარის ოდენობით, 9 მაისს ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით.

ბ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერანებს თითოეულს – 200 ლარის ოდენობით, 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით.

გ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების მონაწილე ეკონომიკურად გაჭირვებულ ვეტერანებს, თითოეულს 100 ლარის ოდენობით, 17 ოქტომბერს ვეტერანის დღესთან დაკავშირებით.

დ) სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებების მონაწილე ვეტერანებს თითოეულს 100 ლარის ოდენობით.

ბენეფიციართა განსაზღვრა:

ვეტერანების (ბენეფიციართა) განსაზღვრა მოხდება მერის წარმომადგენლებისა და ვეტერანთა გაერთიანებების მიერ, (ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ მოწოდებული სიის საფუძველზე), ვეტერანთა ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის სიმძიმის გათვალისწინებით.

10. თანადგომის საჭიროების მქონე ოჯახთა მხარდაჭერა

პროგრამის აღწერა

პროგრამის ფარგლებში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით ერთჯერადი ფინანსური დახმარება მიეცემა ეკონომიკურად შეჭირვებულ ოჯახებს, რომლებიც ამავდროულად აკმაყოფილებენ ჩამოთვლილი კრიტერიუმებიდან მინიმუმ ერთს მაინც:

ა) ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მისი სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს, (რაც დადასტურდება ამონაწერით სოციალური სააგენტოდან.)

ბ) ოჯახში არის მძიმე ავადმყოფი: ონკოლოგიური, მუდმივად მწოლიარე, ფსიქიკური აშლილობის მქონე (და/ან სხვა სახის მძიმე დაავადების მატარებელი), რაც დადასტურდება სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობით - ფორმა N100.

გ) ოჯახში არის მარტოხელა მოხუცი, შშმ პირი ან ორი (და მეტი) 18 წლის ასაკს მიუღწეველი პირი (რაც დადასტურდება შესაბამისი დოკუმენტით ან მერის წარმომადგენლის მიერ მოწოდებული ინფორმაციით).

დ) ოჯახმა დაკარგა მარჩენალი, რაც დადასტურდება გარდაცვალების მოწმობით ან შშს-ს მიერ გაცემული ცნობით.

ე) ოჯახის შემოსავალი სარსებო მინიმუმზე ნაკლებია (რაც დადასტურდება შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული ცნობით).
ვ) დახმარების მიმღები ძალადობის მსხვერპლია (აღნიშნული პირის მომართვის შემთხვევაში), რაც დადასტურებულია უფლებამოსილი უწყების მიერ გაცემული დოკუმენტით.

დახმარების ოდენობის განსაზღვრა:
გადაწყვეტილება, ოჯახის დაფინანსების თაობაზე და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში თანხის ზუსტი ოდენობა განისაზღვრება მერიის სოციალური ღონისძიებების დაფინანსების განმსაზღვრელი კომისიის მიერ. დახმარება გაიცემა წელიწადში ერთჯერადად, არაუმეტეს 200 ლარისა.

საჭირო დოკუმენტაცია:
ა) განცხადება მერის სახელზე;
ბ) დახმარების მიმღების პირადობის მოწმობა;
გ) საცხოვრებელი ადგილიდან მერის წარმომადგენლის შეფასება ოჯახის დახმარების საჭიროების შესახებ.
დ) ამავე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული კრიტერიუმის/კრიტერიუმების შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი/დოკუმენტები.
ე) დახმარების მიმღების პირადი ანგარიში ბანკიდან;
5. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ბანკში გახსნილ პირად ანგარიშზე.

11. ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეთა დახმარება.

პროგრამის აღწერა:

ფინანსური დახმარების გაწევის მიზნით ბაღდათის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ჩერნობილის ატომური ელ. სადგურის აღდგენით სამუშაოებზე მონაწილე ბენეფიციარებს მიეცემა ერთჯერადი ფინანსური დახმარება თითოეულს 200 ლარის ოდენობით.

საჭირო დოკუმენტაცია:

დახმარების მისაღებად მოქალაქემ უნდა წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:
ა) დახმარების მიმღების პირადობის მოწმობა;
ბ) ჩერნობილის ატომური ელ. სადგურის აღდგენით სამუშაოებში მონაწილის დამადასტურებელი მოწმობა;
გ) დახმარების მიმღების პირადი ანგარიში ბანკიდან;

12. **დღეგრძელ (100 და მეტი წლის ასაკი) მოქალაქეთა დახმარება.**

პროგრამის აღწერა:
პროგრამის მიზანია 100 და მეტი წლის ასაკის ხანდაზმულების ერთჯერადი ფინანსური დახმარება, თითოეულს - 500 ლარის ოდენობით.

საჭირო დოკუმენტაცია:
ა) განცხადება მერის სახელზე;
ბ) დახმარების მიმღების პირადობის მოწმობა;
გ) დახმარების მიმღების პირადი ანგარიში ბანკიდან;

13. უჭირისუფლო მიცვალებულების დაკრძალვის ხარჯები

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში უჭირისუფლო პირის გარდაცვალების შემთხვევაში მიცვალებულის დაკრძალვის სარიტუალო მომსახურების ხარჯების მისაღებად შესაბამისი ტერიტორიული ორგანოდან მერის წარმომადგენლის ნდობით აღჭურვილი პირი (ან წარმომადგენელი) მიიღებს 250 ლარს.

საჭირო დოკუმეტაცია:

ა) განცხადება მერის სახელზე;
ბ) პირადობის მოწმობა;
გ) მერის წარმომადგენლის შუამდგომლობა.
დ) გარდაცვალების მოწმობა;
ე) დახმარების მიმღების პირადი ანგარიში ბანკიდან;

14. ხანძრის შედეგად მიყენებული ზიანის თანადაფინანსება

პროგრამის მართვა:
პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების კუთვნილ საცხოვრებელ სახლზე (ბინაზე) მიყენებული ზარალის ნაწილობრივი ანაზღაურება. დახმარება განისაზღვრება ერთჯერადად, არაუმეტეს – 2500 ლარისა.

საჭირო დოკუმენტაცია:

ა) წერილობითი განცხადება;
ბ) პირადობის მოწმობის ასლი;
გ) აქტი ხანძრის შესახებ, (გაცემული შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მიერ).
დ) ცნობა ხანძრის შესახებ, (გაცემული შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მიერ).
ე) მერის წარმომადგენლის შუამდგომლობა.
ვ) დაზიანების ამსახველი ფოტომასალა.
ზ) ასევე სხვა სახის დოკუმენტი, რომელიც მოთხოვნილი იქნება მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ და დაკავშირებული იქნება განსახილველ საკითხთან.

15. სტიქიური მოვლენების ან/და სხვა ობიექტური გარემოებების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების საცხოვრისით, ბინის ქირითა ან/და დაზიანებული სახლების სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებისა და მასალის დაფინანსება.

პროგრამის აღწერა:

მუნიციპალიტეტში მცხოვრებ იმ პირებს, რომლებსაც სხვადასხვა ობიექტური მიზეზების გამო დაუზიანდათ ან რომლებმაც დაკარგეს საცხოვრებელი სახლი პროგრამის ფარგლებში საჭიროების შესაბამისად დახმარება გაეწევათ ბინის ქირით ან უზრუნველყოფილი იქნებიან საცხოვრებლით, ან დაფინანსდებიან საამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებით და მასალებით

ბინის ქირით უზრუნველყოფისათვის საჭირო დოკუმენტაცია:

ა) განცხადება მერის სახელზე;
ბ) დახმარების მიმღების პირადობის მოწმობა;
გ) საცხოვრებელი ადგილიდან მერის წარმომადგენლის შუამდგომლობა სტიქიური მოვლენის აღწერის ან/და უსახლკარობის შესახებ;
დ) ბინის მეპატრონისაგან დოკუმენტაცია ქირავნობის ხელშეკრულების გასაფორმებლად.
ე) ბინის მეპატრონის პირადი ანგარიში ბანკიდან;
ვ) მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ მოთხოვნილი სხვა დოკუმენტი, რომელიც დაკავშირებული იქნება განსახილველ საკითხთან.
ბინის ქირით ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ბინის მეპატრონესა და მუნიციპალიტეტის მერიას შორის დადებული ხელშეკრულების გათვალისწინებით.

სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებით/მასალებით დახმარებისათვის საჭირო დოკუმენტაცია:

ა) განცხადება მერის სახელზე;
ბ) დახმარების მიმღების პირადობის მოწმობა;
გ) საცხოვრებელი ადგილიდან მერის წარმომადგენლის შუამდგომლობა დახმარების საჭიროების შესახებ;
დ) სხვა დოკუმენტი, რომელიც მოთხოვნილი იქნება მერიის შესაბამისი კომისიის მიერ და დაკავშირებული იქნება განსახილველ საკითხთან.

ბინის ქირითა და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისა და სამშენებლო- სარეაბილიტაციო სამუშაოებით/მასალებით დახმარების თაობაზე განცხადებებს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ,,მოქალაქეთა კერძო საკუთრებაზე სხვადასხვა ობიექტური გარემოების შედეგად მიყენებული ზარალის შემსწავლელი კომისია“.

.